საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში თვალჭრელიძის ქ IV შესახვევი #1 მიმდებარედ (ს/კ 01.19.18.007.008) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“

ქ. თბილისში თვალჭრელიძის ქ IV შესახვევი #1 მიმდებარედ (ს/კ 01.19.18.007.008) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტი შეასრულა საპროექტო ორგანიზაცია შპს “არტ-დიზაინი+“მა, (მისამართი: ქ. ქობულეთიკომახიძის ქ.#16)
პროექტის მთავარი არქიტექტორი: მალხაზ ქათამაძე
საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით
(მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქარველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების
(„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ტერმინები და განმარტებები

ტერმინი № განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

• პროექტის აღწერილობა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სავაჭრო ცენტრ „ ისთ-პოინტის“ მახლობლად თვალჭრელიძის ქუჩაზე შპს „ლგ ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში და შეადგენს 1633 კვ.მ, მას ჩრდილო დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება თვალჭრელიძის ქუჩა ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან ესაზღვრება საკადასტრო ნაკვეთები.
საპროექტო დავალების შესაბამისად განსაზღვრულია ერთ სართულიანი საწყობის აშენება და შესაბამისად დაპროექტდა კარკასული ტიპის რკინაბეტონის ნაგებობა რომელიც გეგმაში მართკუთხა ფორმისაა. დაპროექტებულ შენობაში განთავსდება საოფისე და სასწყობო სათავსები, აგრეთვე საწყობის გასწვრივ მოეწყობა დებარკადერი სატვირთო მანქანებისათვის ,საყარაულო ჯიხური და საერთო ტუალეტი. კონსტრუქციული გადაწყვეტილება მიღებულია დამკვეთის დავალებისა და საქართველოში მოქმედი ნორმების შესაბამისად.
ფასადი დამუშავებულია მინიმალისტურ სტილში, ძირითადად ფასადი შებათქაშდება და შეიღებება საფასადე საღებავით. საწყობის გადახურვა მოეწყობა მონოლითური ფილით და მოპირკეთდება საიზოლაციო მასალით, ხოლო ,საყარაულო ჯიხურისა და საერთო ტუალეტის გადახურვა მოეწყობა ხის ნივნივებისაგან შემდგარ კონსტრუქციით, გადასახურ მასალად გამოყენებული იქნება ლითონის პროფილური ფურცლები რომელიც შეღებილი იქნება ანტიკოროზიული სარებავით.
მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, მიდობილობა, ტოპოგრაფიის DWG ფაილი, გეოლოგია და იპოტეკარის თანხმობა ატვირთულია დამატებითი ფაილების გრაფაში.

• ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტის მიხედვით განსაზღვრულია ერთ სართულიანი საწყობის შენობა. პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ ყველა ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია სასაწყობო **(სწ-1 მშრალი პროდუქციის საწყობი)** და საქმიანი

ჯგუფის **(სქ ოფისი, დირექტორის კაბინეტი და დაცვის ჯიხური)** დაკავებულობები, კერძოდ:

1. **311.2 ქვეთავის** მიხედვით **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება, როგორც **სწ-2**. აღნიშნული დაკავებულობა განთავსებულია **0.00** ნიშნულზე. **სწ-1 ჯგუფის** დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**46.5 1004 ქვეთავისა** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. შესაბამისად განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა, რომლის ჯამი შეადგენს **9** დამკავებელს.

პროექტის მიხედვით დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვა სწორად არის გამოთვლილი **1004,1.2** ცხრილის მიხედვით

2. **304 ქვეთავის** მიხედვით საქმიანი ჯგუფი **სქ** მოიცავს შენობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის. აღნიშნული დაკავებულობა განთავსებულია **0.00** ნიშნულზე.

სქ ჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**9,3**. (მთლიანი)**1004** ქვეთავისა და **1004.1.2** ცხრილის მიხედვით. შესაბამისად მიწის ნაკვეთზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა, რომლის ჯამი შეადგენს 7 დამკავებელს.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

პროექტის კვლევის საფუძველზე, წესების **721.1 ცხრილში** მოცემული მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე დადგინდა, რომ საპროექტო შენობა შეესაბამება **II-B** კონსტრუქციის ტიპს. საპროექტო შენობისთვის გამოყენებული სამშენებლო მასალებიდან და **503 ცხრილში** მოცემული დაკავებულობის დასაშვები ფართობებიდან გამომდინარე ასევე შერჩეულია კონსტრუქციის ტიპი **II-B**, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილ სიმაღლეს, ფართობსა და სართულიანობას.

საპროექტო შენობის ელემენტები, ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო(გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით) აკმაყოფილებს წესების **601 ცხრილის** მოთხოვნებს ცეცხლმედეგობის ხარისხთან დაკავშირებით.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

არსებული შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503-ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე. შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

იქიდან გამომდინარე რომ, საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **IIB** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე **4** სართულია, ხოლო საპროექტო ნაწილის შემოთავეზებული სართულიანობა **სწ-1 ქვეჯგუფის და საქმიანია ჯგუფის დაკავებულობისთვის 1 სართული** (მიწისქვეშა სართული არ აქვს). შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით, კერძოდ შენობის ოთხი კუთხის საპროექტო ტოპოგრაფიული ნიშნულებიდან გამომდინარე განსაზღვრულია

„მიწის დონე“, რომელიც შეესაბამება **-1.20=505.63 ნიშნულს.** წესების მიხედვით შენობის სიმაღლე შეადგენს **5.80 მ-ს**
პროექტის მიხედვით **0,00 ნიშნულზე განთავსებული სწ-1 ქვეჯგუფის** დაკავებულობისთვის კონსტრუქციის ტიპიდან გამომდიანარე **(IIB)** მაქსიმალური მოთხოვნილი ფართობია **1630 მ²**, ხოლო შემოთავაზებული ფართობი შეადგენს **425.0მ²**.ლ სქ ჯგუფის დაკავებულობისთვის მოთხოვნილი ფართობი შეადგენს **2140.0 მ²,** ხოლო შემოთავაზებული ფართობია **79.6 მ²**.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალ მანძილთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად. წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის,** და **1021.2(1) ცხრილიდან** გამომდინარე **სწ-1 სასაწყობო ქვეჯგუფის** და **სქ ჯგუფის** დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია 2 გასასვლელი გზა-კარი.

გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება **27 მეტრს,** რაც აკმაყოფილებს **1016 ქვეთავის** მოთხოვნებს.

გასასვლელი გრძელდება **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

1009.4 ქვეთავის მიხედვით სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(16 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(7.6 მმ).**

გასასვლელი გზა-კარი მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0,82 მეტრს,** ხოლო არსებული პროექტით, გასასვლელების სისტემაში შემავალი გზა-კარის მინიმალური სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ **1.40 მეტრს.**

ასევე უნდა აღინიშნოს რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარები აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

6.მისაწვდომობის შეფასება;

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-**11-თავის** მიხედვით პროექტში გათვალისწინებულია მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, და შენობიდან გამოსვლა ასევე უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტებით.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია**705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს

მოცემილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით **'თ-ა'** ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი შეადგენს 0,50 მეტრს და წესების **602 ცხრილის** მიხედვით საჭიროებს გარე კედლების 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, რაც უზრუნველყოფილია კედლის სამშენებლო მასალიდან გამომდინარე (ბეტონის ბლოკი 20სმ სიგანის). გარე კედლის ღიობის დასაშვები ფართობი დაუშვებელია, შემოთავაზებული ფართობი **0%** კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი განსაზღვრულია **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება**705.8 ცხრილს**

„3"-„1" და „ა"-„თ"ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი 9 მეტრზე მეტია, რაც **602 ცხრილის** მიხედვით არ საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის უზრუნველყოფას და ღიობის დასაშვები ფართობი შეუზღუდავია.

'1-3' ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი შეადგენს 3.63 მეტრს, **II-B** კონსტრუქციის ტიპიდან და **602 ცხრილის** მიხედვით **გარე კედელს** არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი.

კედლის ღიობის დასაშვები ფართობი 15%, შემოთავაზებული ფართობი **4.7%** კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი განსაზღვრულია **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება**705.8 ცხრილს**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების და **705.8.5 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან დაკავშირებით.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის სტრუქტურის და არამირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით და **IIB** კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი აღემატება **IIB** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (0 სთ) და აკმაყოფილებს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს. შენობის გადახურვის ტიპი არის ბრტყელი (ქანობით მაქს. 1-2 გრადუსი), გადახურვის ფენილი შედგება - რკინა-ბეტონის მონოლითურ გადახურვის ფილაზე მოწყობილ საიზოლაციო ფენისაგან, რაც **1507.10 ქვეთავის** მიხედვით აკმაყოფილებს მრავალშრიან

სახურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **B კლასს (ცხრილი1505.1ა)**

სახურავი ბოლოვდება **705.11.1 ქვეპუნქტის** მიხედვით მთელ პერიმეტრზე მოწყობილი პარაპეტით, მაგრამ **705.11 ქვეპუნქტის მე-3** გამონაკლისის მიხედვით სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხის გამო (2 საათი) შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმოჯნავების შეფასება;

წარმოდგენილი პროექტის და 508.4 ცხრილის მიხედვით შერეულ **(სწ-1) და (სქ) ჯგუფის** დაკავებულობებს გამიჯვნა არ მოეთხოვება

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო **(სწ-1 და სქ) ჯგუფის** დაკავებულობებისთვის წესების **906 ქვეთავის** მიხედვით დაკავებულობებში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე საპროექტო შენობას ხანძრისაგან დაცვის სხვა სისტემები არ მოეთხოვება.

11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

საპროექტო ნაწილში წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების **(სწ-1) და (სქ)** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებ წესების **1602.1** ცხრილის შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ტუალეტები მდებარეობს როგორც სასაწყობო შენობის 0.00 ნიშნულზე, ასევე შენობის გარეთ მდებარე მიწის ნაკვათზე -1.20 ნიშნულზე. ტუალეტამდე მისასვლელი მანძილი არ აღემატება **150 მეტრს,** რაც აკმაყოფილებს წესების **1602.3.2 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს ტუალეტების მდებარეობასთან დაკავშირებით.

წყალსადენი სისტემების და ფიქსირებელი მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში თვალჭრელიძის ქ IV შესახვევი #1 მიმდებარედ (ს/კ 01,19,18,007,08) მიწის ნაკვეთზე სასაწყობე შენობის საპროექტო არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმნტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იწვევს აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: გრიგოლ გარუჩავა

ხელმოწერა.

თარიღი : **10,04,2018**

ექსპერტის მონაცემები

სახელი გვარი: გრიგოლ გარუჩავა

დაბადების თარიღი - 1962 წლის 5 ივნისი.

დაბადების ადგილი - საქართველო, ქალაქი ბათუმი.

მისამართი: ქალაქი ბათუმი, 26 მაისის ქუჩა N13. TL: +995 953312048.

e-mail: garucha.g@gmail.com

განათლება:

1969-1979 წლები - ქალაქ ბათუმის N 21 საშუალო სკოლა.

1981-1985 წლები - ქალაქ მოსკოვის მიწათმოწყობის ინჟინერთა ინსტიტუტის - არქიტექტურული ფაკულტეტი. სპეციალობა - არქიტექტორი.

პროფესიული გამოცდილება:

1979-1980 წლები - სვერდლოვსკის არქიტექტურის ინსტიტუტი -თანაშემწეს პოზიცია;

1985-1996 წლები - ქალაქ ბათუმის აღმასკომის (მაშინდელი მერია) არქიტექტურის განყოფილების უფროსი არქიტექტორი.

1996-1997 წლები - ქალაქ ბათუმის აღმასკომის (მაშინდელი მერია) არქიტექტურული განყოფილების საწრმოო ჯგუფის მთავარი არქიტექტორი.

1997-2000 წლები - აჭარის არ მშენებლობის სამინისტროს არქტექტურისა და ქალაქმშენებლობის განყოფილების უფროსი.

2000-2003 წლები - აჭარის არ ურბანიზაციის სამინისტროს არქტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს უფროსი.

2003-2005 წლები - აჭარის არ ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის არქტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს უფროსი.

2005-2006 წლები - ქალაქ ბათუმის მთავარ არქიტექტორი.

2007 წლიდან შპს ,,კონსტრუქტორი-21'' არქიტექტორის პოზიცია.

2013-2014 წლები - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი USAID-ი, ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფის არქიტექტორი.

2012 წლის თებერვალიდან დღემდე - აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინიტროს აჭარის სივრცითი დაგეგმარების ჯგუფის არქიტექტორი.

ДИПЛОМ

МВ № 346573

Настоящий диплом выдан Гаругава Григорию Ревазовичу

в том, что он в 1980 году поступил в Московский ордена Трудового Красного Знамени институт инженеров землеустройства

и в 1985 году окончил полный курс названного института

по специальности архитектура и планировка с н м

Решением Государственной экзаменационной комиссии от „20" июня 1985 г. Гаругава Г. Р.

присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии В. Мисеев

Ректор

Секретарь

М. П.

Город Москва „20" июня 1985 г.

Регистрационный № 559

Московская типография Гознака. 1984.

სსრკ გერბი

დ ი პ ლ ო მ ი

MB №346573

ეძლევა გრიგოლ რევაზის ძე გარუჩავას მასზედ,
რომ იგი 1980 წელს შევიდა მოსკოვის წითელი დროშის ორდენისანი საინჟინრო
მიწათმოწყობის ინსტიტუტში და
1985 წელს დაამთავრა დასახელებული უნივერსიტეტის სრული კურსი

სპეციალობით:
დასახლებული ტერიტორიის მშენებლობის
არქიტექტურა და გეგმარება
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით
გ.რ.გარუჩავას მიენიჭა
არქიტექტორის კვალიფიკაცია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის
თავმჯდომარე: /ხელმოწერილია/
რექტორი: /ხელმოწერილია/
მდივანი: /ხელმოწერილია/

/დამოწმებულია მოსკოვის წითელი დროშის ორდენისანი საინჟინრო მიწათმოწყობის
ინსტიტუტის ოფიციალური ბეჭდით/

ქ.მოსკოვი
20 ივნისი 1985 წ.
სარეგისტრაციო ნომერი: N559

На должном уровне владею грузинским и русским языками и перевод исполнен с оригинала документа
ჯეროვნად ვფლობ ქართულ და რუსულ ენებს და თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ორიგინალიდან
მთარგმნელი: ნინო ქუსიკაშვილი
Переводчик: Кусикашвили Нино

ტარიუსის დამადასტურებელი წარწერა (ფორმულარი)
достоверительная надпись нотариуса (формуляр)

ორი ათას ცხრამეტი წლის თოთხმეტ თებერვალს მე, საქართველოს ნოტარიუსს მეგი მაღალდაძეს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #19 მომმართა ქ–ნმა ნინო ქუსიკაშვილმა, რომელმაც წარმოადგინა **რუსული ენიდან ქართულ ენაზე** ნათარგმნი დოკუმენტი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: ქ-ნმა ქ-ნმა ნინო ქუსიკაშვილმა (დაბ. 10.11.1956 წ., პასპორტი: P GEO 11BB13898, პ/ნომერი 14001008627, გაც. 02.10.2014 წ.,მოქმედების ვადა: 02.10.2024 წ., მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, სანზონა კორპ. 1დ, ბ.29) მომმართა.

აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მთარგმნელმა წარმოადგინა მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი- დიპლომი: სერია: ТВ # 188176, სარეგისტრაციო #147, გაცემული უკრაინის ი. ფედოროვას სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ 1989 წლის 30 იანვარს,).

მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა იმ პასუხიმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს არასწორ თარგმანს, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს რუსულ ენას და პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა დოკუმენტზე.

გადახდილია საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ"საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე **2.00** ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე **2.00** ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. **0.36 ლარი** (29.12.2011), **ჯამში: 4.36 ლარი** (დღგ-ს ჩათვლით)

14.02.2019 г. , ко мне, нотариусу Грузии Меги Магалдадзе, нотариальное бюро которой находится по адресу: г. Тбилиси, ул. К. Марджанишвили №19, обратилась гражданка **Кусикашвили Нино**, которая представила перевод документа **с русского языка на грузинский язык** и потребовала его заверение в нотариальном порядке.

Я проверила личность заявителя по предъявленному ею удостоверению личности гражданина и убедилась, что ко мне действительно гражданка **Кусикашвили Нино (10.11.1956 года рождения, персональный номер № 14001008627, паспорт: P GEO 11BB13898, дата выдачи: 02.10.2014 г., срок действия: 02.10.2024 г., проживающая: г.Тбилиси, Сан-Зона 1/д корп, кв.29)** обратилась.

Я также проверила её дееспособность и подтверждаю, что не имею сомнений в её дееспособности. Переводчик представила документ, подтверждающий её квалификацию: диплом - серия ТВ-1, № 188176, выданный Украинским Полиграфическим институтом им. Ив.Фёдорова, от 30.06.1989 г. Переводчица предупреждена мною о той ответственности, которая следует за неточностью перевода, после чего переводчица заявила, что на должном уровне владеет русским языком и отвечает за достоверность перевода, затем переводчица в моём присутствии лично выполнила подпись под документом.

Оплачено за нотариальные услуги, согласно Постановлению Правительства Грузии «О порядке оплаты пошлины за совершение нотариальных действий и о правиле их оплаты и утверждения сроков обслуживания, установленного для Нотариальной палаты Грузии» за номером №507 от 29.12.2011г., по статье 31 – **2.00** лари, и по статье 39 – **2.00** лари, а также по статье 169 Налогового Кодекса Грузии – **0.36** (Н.Д.С.), итого оплачено – **4.36** лари.

საქართველოს ნოტარიუსი: მეგი მაღალდაძე

Нотариус Грузии: Меги Магалдадзе

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190158860
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.02.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	მეგი მაღალდაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა N19
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2967042
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	66109158920919

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18